№ 1

35/1913

ფასი 5 კაპ.

ქართული

ხათაბალა

სათხუნჯო ალმანახი

ქართული ხათაბალა—სათხუნჯო მასალების კრებულია, მეორე ნომერი გამოვა ახალ-წელიწადს. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შრომის სტამბაში, ალმანახისათვის.

კუჩრების თავგასულობა დაბა-სოფლად

23/XI 49
№ 35



„კუჩრების" თავგასულობას
არ უჩანს დასასრულიო!..
მგზავრებს ხელ-და-ხელ გვიტაცებს,
მიგვათრევს გაბაწრულიო!..
არც ხერხი გაგვდის, არც თხოვნა,
(დაიქცეს მათი რჯულიო)!
გაჩენის დღესა ვიწყევლით
ამ რიგათ დატანჯულიო.

თუ ცოტას გავჯიუტდებით,—
ვიხმართ ღონეს და ძალასო,
ვერ ავიცილებთ თავიდან
ამნაირ ხათაბალასო:
მათრახით შეგვიხურებენ—
თეძოს და თავის ქალასო!..
ხან მეგორდიას გვიზამენ,
ხან კიდევ—წიკუნტალასო!..

მგზავრი.

თბილისი

(მიბაძვა რაფაელისა).

ნახეთ ჩვენი თბილისი,
რა ნაირათ შეცვლილა?
მუხრანიანთ ნაგავი
ვარდივით გადაშლილა!
ძველი დიდი სანაგვე,
ხიდისათვის მოცლილა,
მისი მნახველი თავი,
ჭკუაზედა შეშლილა!

—

მიხაილოვის ქუჩა,
როგორ დამშვენებულა,
ელექტრონის ფანრებით
ყველგან გაჩაღებულა!
ყველგან პროჟექტორები
როგორ გამრავლებულა,
ბევრი ავტომობილით
თვალნი აჭრელებულა.

—

თავი შევყავი უცებ,
თეატრი არის „მუზა“,
მათმა სანახაობამ
სირცხვილითა მომკუზა.
უეცრათ გამეცინა,
„გოროდოვოიმ“ მდრუზა,
და მუშტისაგან, ცხვირზედ
კოჟლო ამეკუზა!..

—

გოლოვინის პროსპექტი?
ეს ახალი ხილია,
ამგვარი სანახავი
არავის უხილია,
საითაც რომ გაივლი,
ყველგან „ოქროს ღილია“,
ქალთა კაბებს უყურებ,
ნამდვილი ბორკილია!

—

ქალებისა ქცევანი,
სწორეთ უცნაურია?
სახე ანგელოზისა,
ჩაცმა—ეშმაკურია!.
თავზე ადევთ კათხები,
თაბახ-კინტაურია,
მოქუზული დადიან
ვითა ინდაურია.

—

ნეტა რათ არ სცხვენიანთ,
ეს რა მოსაგონია?
ნაბიჯი ვერ გადასდგან,
კაცო, გაგიგონია?!
მაგრამ რას არა ვნახავთ,
უხეირო დრონია,
ამ „მოდების“ მომგონსა
სინდისი არ ჰქონია.

—

ქალნი კაცთან დადიან,
მკლავში ხელ გაყრილები,
თანაც იღრიჯებიან
დალოცვილიშვილები!
ეტყობათ რომ არიან,
გაქნილ-გამოქნილები,
არ მინდა მათი ცქერა,
წავალ-მოვეცილები.

—

სადღაცა შევეთრიე,
ბალი იყო მორთული,
კარებში გამაჩერეს,
გამომართვეს იქ ფული,
მიდიან და მოდიან
ხალხი ევროპიული,
გაკვირვებით უყურებ,
გავშტერდი ვით მთიული!

—

ბალს გავცილდი, მომესმა
ყურში რაღაც შრიალი,
ვნახე ქალთა და კაცთა,
ცურაობა, სრიალი,
თოვლი არსად არ იყო,
აი გასაკვირალი,
გეფიცები ამ საქმეს,
უყურებდი მტირალი!

—

ქალ-კაცნი გადამბულნი,
სწრაფათ დასრიალობენ,
ოფლში იწურებიან,
ნეტავი რას წვალობენ!
ფეხში გორგოლაჭებით,
მარდათ დატრიალობენ,
თურმე ამის გულისთვის
ფულებსაცა ვალობენ!..

—

ეხლა ნახეთ ეგენი,
თუ რაებსა ჩადიან,
რომელიც ხამია,
ყირაზე გადადიან,
მხოლოთ მათი მნახველნი
იცინიან მადიან!..
თურმე ამ სანახავსა
სკეტინგ-რიკს ეძახიან!..

—

სანახავი მრავალი,
ბევრი უცნაურია,
მაგრამ ეს ჭიდაობა,
ისევ ძველებურია!
ამისი გამმართავი
სწორეთ დასამდურია,
უეჭველათ იქნება,
ჩარჩი ვინმე ურია!.

—

სულ ყველა ვით დავწერო,
ეს რა დროს შავესწარი?
ნეტავი დამწომოდა,
ბავშვობისას „ზეწარი“...
რისთვისა ცოცხლობს კაცი,
უშნო და უმეცარი?!
თვალი გაალეთ ხალხნო!
მთვარეც არი, მზეც არი!..

მ. ლელაშვილი.

ხალხური სიმღერები

1.

ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს,
კბილის გაკრაჭუნებაო,
ბარიშნებთან — არშიყობა,
თვალის დაპარწკუნებაო.
შუა დამე რომ გადიარს—
კარის დაკაკუნებაო,
მის ლოგინში ჩაგორება,
გულში ჩახუტუნებაო.
მიხარია— ხვევნა-კოცნა,
ყურში ჩაფუჩუნებაო,
გათენდება — მეზარება
უკან გამობრუნებაო,
მაგრამ, ზოგი იმათგანი
ისე ედრაგუნებაო!
მე იმათმა პრანჭვა-გრეხამ
წამიხდინა გუნებაო,
იუ რომ ერთხელ გაიცანი—
ზურგში გეკუტურებაო,
სადაც წახვალ, ყველგან წაგდევს,
თანაც გეკუნკულებაო!..

თუ გაბრიყვდი და შეირთე—
მუდამ გებუზღუნებაო
და იმ დღიდან დაიწყება
შენი უბედურებაო.

2.

ქალ-ვაჟიანი:

ვაჟი. ერთ ბატარა ბადშიდაო
ვიარები ადრე ადრე,
შით კაკალი მაქვს დაურიდი
მაზედ დაჭედილი ბადე,
შენ ჩემს კაკალს არ დახედე
არც შემოჯდომა იკადრე,
მე რომ ვგვდები მტრედო შენთვის
ბატარა შენც გიყვარდე.

ქალი. ამ წერილის გამოგზავნა
მიგვიერს რისთვისაგანიზრახე,
ან რა ჭკუამ გაგიბერდა,
ან რა თვალზედ დამინახე!
მე შენს ქოხში არ ჩავჯდები,
არც წამებმის შენი მახე,
შენ თუ ვინმე არ გაგრეზგავს
მე აბალი დამიძახე.

3.

თაგვის ლექსი*)

ცოტა ამბავს მოგახსენებ,
ვითარებას თავისას,
უფუფლობამ შემაწუხა
ვერ დავდექი თავის სახლს.
ბათუმში რომ ჩამოვედი
იქ მივენდვე ინწკირველს,
ინწკირველმა დამაყენა,
მის ოთახში დუქნის გვერდს.
ერთი თაგვი შემოგმიჩნდა
დამე ადარ გვაძინებს
მუდამ ისე ახრაგუნებს
ვითომ ხრიდეს ძაღი გვერდს.
ხაზეინს კავაგებიეთ
თავის ჩვენის ვითარება,
შენ რომ სახლი გვაქირავე
თაგვმა ადარ დაგვანება!

ჩვენ თუ სახლი გვაქირავე
ჩვენ მოგვანიჭე უფლება,
თვარა მოდი ამ თაგვს კითხე
დამე რას ეხრაგუნება!

—

თაგვსა კაცი გაუგზავნა ხაზეინმა:
—თაგვო წიდოო!
ძმობას გირჩევ, რომ გაჩუმდე,
დამე შენთვის დაიძინო,
თორემ ისეთ საქმეს გიზამ
მეზობლები გავაკვირო!
ხომ არ გინდა რომ დაგჩეხო
ორ-სამ კვირას სულ-გაყვირო.

—

ახლა თაგვმა უპასუხა:
—შენ რა გინდა ხაზეინო!
რისთვისა გსურს უბრალოზედ
მეჩხუბო და მაწყენინო?!
შენ რომ დოჯეს აშენებდი,
მე მიმქონდა მადა მდვირო
და ეხლა ის მეკადრება:
ხმა მადა რომ დამიყვირო?!.
ჩემს ზიარ სახლში ქვითობ
წინდამ გიდგას შავი ღვინო,
განა შენ რა გენადვლება
მეც რომ აქეთ მოვიდხინო!
სახლში თუ ნაწილს არ მაძლევ,
ადარც უნდა შემაგინო,
მოდი აბა შემომკარი,
ნახე თუ რომ შეგარჩინო.
მოგიქნიო სატევარი
მირსხადი არ შეგაცილო,
ექიმმაც ვერ მოგარჩინოს
ცადი ეური მოგაცილო.

ხოფლელი.

ხმა ჯოჯოხეთიდან

I

სანამ ვიყავ დაბა-სოფლათ,
ვეწაფოდი ცივსა წყაროს
და ვუხარბოდი სუფთა ჭაერს,
სანაქებოს, სანეტარო,
არ მომწონდა ეს ცხოვრება
და მიმაჩნდა ჯოჯოხეთად,
რასაც თვალით ვერ ვხედავდი
იმას ვლოცულობდი ღმერთად!

ეხლა, რადესაც შემოხვედით
ჯოჯოხეთში მიკრეს თავი,
ეს წარსული მოგონება
გამხთომია სალოცავი.
დავრწმუნდი რომ აქამომდე
სამოთხეში მიცხოვრია,
ჯოჯოხეთი არ არისო
რომ ამბობენ სულ ბოროა!
ვისაც თვალით არ უნახავს
იგი არ დამეთანხმება,
ეგეულს თავისი რწმენა აქვს,
აბა მე რა მესაქმება!
ხოლო კი—ჯოჯოხეთი
სიცოცხლეში არის მწარე,
თორემ, კაცი რომ მოკვდება
მას რა ესმის სიმწუხარე.

„არესტანტი“.

მესტვირული

აგერ რამდენი ხანია
აღარ დამიკრავს სტვირია,
მიგდებულია კუთხეში,
აძევს მტვერი და ხვირია,
მაგრამ დღეს ჩემსა გულასა
ხელში აღება სჭირია,
უნდა გავსწმინდო ლამაზათ
და ზედ მივადვ პირია.
მსურს რომ სიმართლე ვიმღერო,
რაც რომ დღეს ეგზომ ძვირია,
ხოლო ხმამაღლა ღიღინი
ძალიან გასაჭირია!..
ყველგან ჩხუბი და ომია,
ხალხი აირ-დაირია,
სულელი გონზედ მოვიდა,
ჭკვიანი—გადაირია!..
მძინარემ გამოიღვიძა
მაღლა ასწია ცხვირია,
ჩინეთის დიქტატურასა
გამოეთხარა ძირია,
ხალხი იძახის—მთავრობა
არ გვინდა, აღარ გვჭირია!..
გმირები თავსა სწირავენ,
მათი ამბავი ხშირია.
ჩვენ კი შევსცქერით სერსა,
როგორც ზარმაცი ვირია
და რომ გვირტყამდენ სახრეებს,
ან კი რა გასაკვირია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუკარ ჩემო ქამანჩავ!
მსმენელი გაგვიგონებსო,
(თუმცა ბეური გაწყრება,
ბეურიც მოგვიწონებსო),
ზოგი კი გაწიწმატდება
(თავის თავს მოიგონებსო),
რამდენიც უნდა იხტუნოს,
ჩვენ ის ვერ დაგვაღონებსო.
არჩევნების დროს ბევრს ვხედავთ:
მყვირალა ორატორებსო,
„ხალხს დავეხმაროთ, საწყალსა“
სულ ამას იმეორებსო,
მაგრამ რო გაიტენავენ
ჯიბეებსა და ტორებსო —
საწყლისთვის ხმასაც არ დასძრავს,
პირსაც კი მოაშორებსო!..
გაზეთებში კი ბეჭდავენ:
ლანძღვა-გინებას, ჭორებსო!..
პატივს არავინ აღარ სცემს
ეხლანდელ რედაქტორებსო!..
პოლემიკაში ხმარობენ:
ვირებს, ძაღლებს და ღორებსო!..
(ეს ჩვეულებას დღეს პრესას
ვერაკინ მოაშორებსო)
უბრალოთ ააშენებენ
ეგრე, სიცრუის გორებსო,
და თავ-მომწონე ვაჟკაცი
მიდის და მიაგორებსო!..

—

აბა ჰა, ჩემო ქამანჩავ,
დავუკრათ კიდევ ერთიო:
ეშმაკი დაგვიმეგობრდა,
განზედ გაგვიდგა ღმერთიო!..
ეს ჩვენი წუთი-სოფელი
გამხდარა—ჯოჯოხეთიო,
ყველა ჩვენ გვაწევს კისერზედ,
გაგვაგდებიეს მკვეთიო.
ხუცესი დრამას თხოულობს,
მოხელე—ფოსტის ფულებსო,
მევალე—აღარ გვასვენებს,
კარებში გვიყუნცულებსო.
ხშირათ შეხვდებით მუშაკსა,
მტირალს, თვალ დაქუცულებსო,
(წელს მოსავალიც წაუხდა,
ამდენს დარდს ვინ გაუძლებსო),
საჭმელი მჭადი არა აქვს
შრომაში გაწაფულებსო,
მემულე კი საყანულს
უმატებს, კი არ უკლებსო.
(ვაი რა-ეუთავდება
ამდენ მგელებს და წუნკლებსო)!..

—

შენ გენაცვალე ქამანჩავ,
ცოტაც დავუკრათ კიდეო,
(თუმცა ურიცხვი, თავხედი
მტერები გადვიკიდეო),
მაგრამ მოგიკვდეს დამკვრელი
მე თუ მათ შევუშინდეო,
ერთ კვირას ვიტყვი შაირებს
რო ვინმეს გავუჯინდეო,
რა კი ღიღინი დავიწყე
და თავი გამოვიდეო,
ჩემი თხის ტყავი მოვნახე,
მთელი ორი დღე ვსწმინდეო,
გავრეცხე-გავალამაზე,
ღლიავში ამოვიდეო,
შიგ წმინდა სული ჩავბერე
და იმით გავადიდეო,
მსურს რომ მალ-მალე ვიმღერო,
რათ მინდა ცრემლებს ვღვრიდეო?!.
(ძველი მესტვირე გახლავარ,
„ბერეგის“, მომერიდეო)...

ბეშტი.

ძალათ მოარშიეე

ახალმოდის შანტაჟი.

(„ეშმ. მათრახიდან“).

ამ ახალმოდის
ქალიშვილებმა
ლამის აგვიკლონ
დალოცვილებმა!..
ცხვის რომ გამოჰყოფ
ქუჩისა პირათ,
წამს გაჩნდებიან
იქ თქვენდა ჭირათ.
მოგაყუდებენ
გულზე აფიშას,
(ქანქარი თუ გაქვს
მაშინ რა გიშავს),
მაგრამ თუ არ გაქვს
ვაი შენს თვალებს
ხვეწნა მუდარით
გულს გაგიწყალებს:
მხოლოთ ერთი გზით
ჩამოიშორებ:
(თუ ჯიბით ქანქარს
ამოიგორებ).
მაგრამ ეს ერთი,
ვსთქვათ გაგეცალა,
წამსვე გაჩნდება
სულ სხვა ამალა!
მეტის მეტია,
თქვენმა სიცოცხლემ
სწორეთ დაგვახრჩვეს,
წაილეს ძალა.
მოგივა სია,
სალატარიო!..
გვეტყვიან: „ფული
მზათ თუ არიო?“.
და დაიწყება
იგივ ამბავი
(თავით ფეხამდე
გაგვაძრეს ტყავი)
არავინა გვყავს
მოგვცეს ნუგეში,
ჩაცვივნული ვართ
ამ ტანჯვის დღეში!..
და აღარ ვიცით
რა ვუყოთ ქალებს
(ვაი ჩვენს თვალებს,
ვაი ჩვენს თვალებს)!.

ემ.

„კარტველ კალებს“

დაე მლანძღეთ, შემიძაგეთ ვით გველი,
მაინც გეტყვით რაც გულში მაქვს სათქმელი:
„მოდნებს“ დასდევთ, უცნაურათ ირთვებით,
მანჭვა-გრეხით მაიმუნს ედარებით!
სახლის მოვლას, ოჯახობას არ ეძებთ,
შრომის ნაცვლათ—„ვეჩერ-ბალებს“ დაეძებთ.
რომ იქ რჯულზე ეხუნტრუკოთ ყმაწვილებს,
თქვენებრ ცულლუტთ და „კარტველსა“ ბაკუნებს!
შვა ქუჩაში ესირცხვილოთ კისკისობთ,
ქართულს სწუნობთ, სხვა ენაზე ტიკტიკობთ,
თვით-შეგნების თქვენ არა-რა გეტყობათ,
წინსვლის ნაცვლათ—უკან წევა გეშხროობათ!
და თუ ვინმემ დაგარიგათ, გამხილათ,
მას უწყრებით, ლანძღავთ, იგდებთ საცინლათ...
დასდგომიხარ გზასა გადაგვარების,
აჩრდილნი ხართ ძველებური დედების!..

ალ. საჩინოელი.

ანეგდოტები

მოლის ამბები:

მოლა მასრადინას სიზმარში ცხრა გროშს აძლევდნენ. მოლა უარზედ იყო, ათს გროშზედ ნაკლებს არა სურდებოდა. როცა გამოეღვიძა ნახა რომ გროშის მომცემიც არავინ იყო, თორემ ცხრას ვინღა სჩიოდა. თვალები ისევ დახუჭა. თავი მოიმძინარა, ხელი კი გაიშვირა და წაიბუტბუტა:

— მოიტა, მოიტა, დეე ცხრა გროში იყოს! მომიცი, რა ვქნა, მაგასაც ყაბულსა ვარო!

—

ზამთრის ერთს ცივსა და წვიმიან დღეს მოლა მასრადინას საცხოვრებელ ქალაქს აქ-შეირს ერთი მწირი ვინმე მივიდა. მოლამ, ნახა თუ არა ეს უცხო კაცი, მაშინვე თავის სახლში მიიწვია. მგზავრი გზა და გზა ორთქლით ხელებს ითბობდა და ისე მისდევდა მოლას.

— მაგას რას შვრებიო? ჰკითხა მოლამ.

— ხელებზე მცივა და ვითბობო, უპასუხა მგზავრმა.

როცა შინ მივიდნენ და სადილად დასხდნენ, სტუმარმა კოვზით აღებულს წვენს გასაგრილებლათ ბერვა დაუწყო.

— ახლა რისთვის სჩადიხარ აგრე? ჰკითხა კვლავ მოლამ.

— რადგან წვენი ძალიან ცხელია, ვუბერავ, რომ გაგრილდეს და ისე შევხვრიპოო, უპასუხა სტუმარმა.

მოლას ჯავრი მოუვიდა და უთხრა: „ადექ, შე შეჩვენებულო, ჩქარა დაიკარგე აქედან. მე იმისთანა სტუმარს ვერ შევინახავ, რომლის პირი ხან ცივს ათბობს და ხან ცხელს აგრილებსო! და საწყალი მგზავრი ცივ-ცივათ გაისტუმრა.

—

ერთ ღამეს მოლა-მასრადინას ბავშვმა საშინელი ტირილი ასტეხა.

— მოლა, გესმის, ბავშვი ტირის, აკვანი გაარწიე; ნახევარი ხომ შენიაო! უთხრა ცოლმა.

— მოლა გადაბრუნდა მეორე გვერდზედ და ცოლს უთხრა:

— შენ შენი ნახევარი გაარწიე, დეე, ჩემმა ნახევარმა იტიროსო.

—

მოლა მასრადინას ერთხელ ვირი მოჰპარეს.

— „მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერს“, იძახოდა მოლა.

— რად სწირავ ღმერთს მადლობასაო? ჰკითხეს ნაცნობებმა.

— იმიტომ, რომ მე ზედ არ ვიჯექი, თუ რომ ზედ მჯდარიყავ, მეც ხომ მომიპარავდნენ ვირთან ერთადაო, უპასუხა მოლამ.

—

მოლა მასრადინასთან მეზობელი მივიდა და თოკი სთხოვა.

— ვერ გათხოვებ, მე თითონ მჭირია, ზედ ხორბალი უნდა დავყარო და გავაშროვო, უთხრა მოლამ.

— აბა ეგ რა სათქმელია, თოკზედ ხორბალი როგორ დაიყრებაო?

— როცა თოკის თხოვება არ მინდა, ხორბალი კი არა, ფქვილიც გაიფინება ზედაო, უპასუხა მოლამ.

კინტოს ამბები:

ერთმა კაცმა მალაზიაში იყიდა გალაქული ახალი წაღები. ჩაიცვა და დაიწყო ქუჩაზედ სეირნობა. ამ დროს მის გვერდით გაიარა ორმა კინტომ. შენიშნეს თუ არა ამ კაცს ახალი წაღები, გამოუდგნენ უკან.

მოსეირნე დაიღალა და მოსასვენებლათ დაჯდა იქვე სკამზე. ორივე კინტო დადგნენ ცოტა მის მოშორებით და დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი. მალე ლანძღვაც მოაყოლეს და ბოლოს ცემაც დაუწყეს ერთმანეთს. არავინ იყო იმათ ხალოს, რომ გაეშველებია მოჩხუბარნი.

წაღებიანი ვაჟი წამოდგა და მივიდა მათთან.

— რა დაგემართათ, რისთვის სცემთ ეუთმანეთს?

— ვა, კნიაზო! როგორ რისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვირისთავი ამბობს, ვითომ თქვენ ცალ ფეხზე ექსი თითი გაქვთ.

— აი თქვე სულელებო, მაგისთვისა სცემთ ერთმანეთს? რატომ მე არ მოიმართეთ? მე თქვენ დაგიმტკიცებდით, რომ ხუთი თითი მაქვს და არა ექვსი. ამ სიტყვებით ის დაჯდა სკამზე და გაიძრო მარჯვენა ფეხზე წაღა და მისცა ერთს მათგანს, მერე წინდაც გაიძრო და აჩვენა რომ ხუთი თითი ჰქონდა.

— აჰა დარწმუნდით ახლა?

— ვა რას ხუმრობ კნიაზო, ეე? მე მარჯვენაზე კი არა მარცხენაზე ვთქვი.

იმან მარცხენა ფეხზეც გაიძრო წაღა და დაიწყო თითების თვლა. ამასობაში კინტოებმა წამოუსვეს ჩექმებს ხელი და მოჰკურცხლეს, ჩვენი კნიაზი დარჩა დაძმარებული, წინდების ამარა.

—

ერთმა კინტომ ქუჩაში გაიარა და ნახა, რომ ბალკონზე ერთი ძვირფასი ხალიჩა ჰკიდია. ძლიერ გულით მოუნდა იმ ხალიჩის აწაპნა, მაგრამ უბედურება ეს იყო, რომ ბალკონი მეტათ მაღალი იყო და ხელით ვერ შესწვდებოდა. ცოტა ფიქრის შემდეგ, დაიჭირა ერთი კატა, წელზე თოკი შემოაკრა და ხალიჩაზე შეაგდო. კატამ ხალიჩას კლანჭები მაგრა ჩასჭიდა, კინტომ კატა თავისკენ გამოსწია თოკით, კატამ ხალიჩას არ გაუშვა კლანჭები და ამგვარათ ხალიჩა და კატა ორივენი ძირს ჩამოცვივდნენ. კინტომ კატას თოკი მოხსნა, შიგ ხალიჩა გამოკრა და ბაზრისაკენ გააქანა.

ბუადემის ამბები:

ოსმალებს მეორე ნასრედინ[illegible]ყავთ. მისი სახელი ბუადემია. ამ პირზედაც ბევრი ანეგდოტია დარჩენილი. მოგვყავს ზოგი მათგანი:

ერთხელ ბუადემი ისე მთვრალი იყო, რომ ადგილიდან დაძვრა აღარ შეეძლო; ეგდო ქუჩაზე და თავბრუ ესხმოდა. გამვლელი შეეკითხა: — რას აკეთებ, ქუჩაზე რომ გდიხარო, და ბუადემმაც უპასუხა:

— ქვეყანა ბრუნავს. ვუცდი სანამ ჩემი სახლი ჩემამდე მოაღწევს. როგორც კი დავინახავ, მაშინვე შინ შევალო.

—

დიდ შიმშილობის დროს ბუადემი უქმელობით სიკვდილს იყო მიღწეული. ერთ პატარა ქალაქში რომ მივიდა, შეიტყო, რომ უფროსი მძიმე ავადმყოფი იყო. ბუადემი შევიდა მასთან, უნახა მაჯა და სთქვა:

— მე ვიცი ამ ავადმყოფობის წამლობა. ეხლავე მომიტანეთ პური და თაფლი.

მისი თხოვნა მაშინვე შეასრულეს. ბუადემმაც აიღო პური, ჩააწო თაფლში, შემოავლო ავადმყოფს თავზე, რაღაც ლოცვები წაიბუტბუტა და შეჭამა. ასე გაიმეორა რამდენჯერმე და წავიდა. მეორე დღეს ავათმყოფი მკვდარი დახვდათ.

— რა საკვირველი წამლით უწამლე ავადმყოფსო, — ჰკითხეს ბუადემს.

— ეს წამალი რომ არ მეხმარა, — უპასუხა ბუადემმა, — ეხლა მეც მკვდარი ვიქნებოდიო.

—

— მეტად უყვარხარ შენს სიდედრსაო, — უთხრეს ერთხელ ბუადემს.

— რას ამბობთ, მე რომ იმას ვუყვარებოდი, თავის ქალს სხვას მისცემდაო, სთქვა ბუადემმა.

—

— ბუადემი ერთ ნადიმზე მივიდა და იქ ჰკითხეს: — მადა გაქვსო?

— ესეც რომ არ მქონდეს, ჩემისთანა ღატაკს რაღა დარჩებოდაო, — უპასუხა ბუადემმა.

—

ბუადემს ერთმა ამხანაგმა უთხრა:

— ბუადემო, ორი სათხოვარი მაქვს შენთან და ამისრულეო.

— ბრძანეო, უთხრა ბუადემმა.

— ჯერ ერთი: ასი მანათი მასესხე, და მეორე - ექვსი თვის ვადა მომეციო.

— პირველს სათხოვარს ვერ შეგისრულებ, არ შემიძლია და მეორეს კი დიდის სიამოვნებით. შენის ხათრით, ექვსის თვის მაგიერ, წელიწადი მომიცია ვადაო, უთხრა ბუადემმა.

—

ერომა დავრიშმა უთხრა ბუადემს:

— შენი ქონებიდან მეც უნდა რამ მიწილაოოვო, რადგან ჩვენ ორნივ ერთის ქვეყნის შვილები ვართ და ერთი მამის — ადამის შთამომავალნიო.

— დიაღ! მართალსა ბრძანებო, უთხრა ბუადემმა: აჰა ორი კაპეიკი, გამომართვი და დარწმუნებული იყავ დანარჩენმა ძმებმაც რომ ამდენ-ამდენი მოგცენ, ჩემზედაც და სხვებზედაც ბევრად მდიდარი იქნებიო.

სხვა და სხვა გასართობი.

ერთი გრძელ წვერა და ქოსა წაიჩხუბნენ: ქოსამ წაავლო წვერში ხელი გრძელ წვერას და გვარიანათ დააქილა წვერები, როცა გააშველეს ქოსამ დაუძახა კვეხნით:

— იგი შენ, ხომ დაგაქილე წვერებიო.

— დედი შენისამ, სამი შენდონი მაინც კი დამრჩაო, — უპასუხა გრძელ წვერამ.

—

ჩინოვნიკი ეხვეწება ხაზინადარს, რომ მისცეს მას ჯამაგირი წინდაწინ.

— გთხოვთ ბატო ხაზინადარო! გეფიცებით, ის ჩემთვის აუცილებელია.

— არ შემიძლია ჩემო კეთილო, არაფერის გულისთვის არ შემიძლია. თითონ გასინჯე: შარშან ივან-ივანიჩმა წაიღო ჯამაგირი წინდაწინ და ორი დღის შემდეგ კი გარდაიცვალა. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა!!.

— ნუ თუ, ივან პავლოვიჩ, ფიქრობთ რომ მეც მაგისთანა უსვინდისობას ჩავიდენ?..

—

— როგორ არიან ავადმყოფები, ეკითხება ექიმი ფერშალს საავადმყოფოში.

— ცხრა კაცი წუხელ გარდაიცვალა, უპასუხა ფერშალმა.

— ვითომ? მე როგორც მახსოვს ათ ავადმყოფს გამოუწერე წამალი?

— დიახ ათს, მაგრამ მეათემ წამალი არ დალია.

—

ერთი პოლკოვნიკი ძლიერ სდევნიდა ლოთ სალდათებს. ამიტომ გამოუცხადა მათ რომ თუ ვინმე დაითვრებოდა, მეორე დღესვე მისთვის მოეხსნებოდა ეს. ერთ მშვენიერ დღეს მათ კეთილშობილებას გამოეცხადა მთვრალი სალდათი.

— მაქვს პატივი მოგახსენო თქვენო კეთილ შობილებავ, რომ გუშინ მთვრალი ვიყავი.

— შენ, შე მხეცო, დღესაც მთვრალი ხარ!

— აგრე გახლავთ თქვენო კეთილ შობილებავ, მაგრამ ამის შესახებ ხვალ მოგახსენებთ.

ინტელიგენტთა გართობა



სიმღერა

(ლანჩხუთელ ინტელიგენტთა)

ჩვენ ვართ და ჩვენი კარტ-ნარდი
გამთენებელი ღამისა,
ერთობ ბლომათაც გახლავართ
სხვა-და-სხვა ჯიშის, გვარისა:

—

მოსამართლე თუ მწერლები,
ხუცები ენქეროსანი,
ფშუტი ექიმი, ფერშლებიც,
მეაფთიაქეც ხმოსანი!..

—

მასწავლებლებიც ბლომათ ვართ
ჩვენგვარი ინსპექტორითა,
მასთან ნასწავლი ქალებიც,
ქანქართ მომხვეტი ტორითა!..

—

ყველა ერთნი ვართ, ტოლები,
ვქეიფობთ, ვსცხოვრობთ ძმურათა,
რა ვუყოთ, თუ ხან ერთმანეთს
წავალლეტთ მეგობრულათა?..

—

რას ვაქნევთ გაზეთს, წიგნთსაცავს
თეატრს და მაგისთანებსა,
ეს ხომ გონებას გაგვირყვნის,
მასთან აგვატკენს თვალებსა!..

—

ჭირი მოვსჭამეთ ტრი-ტუზას,
დუშაშს, ღვინოსა, ქალებსა,
ჩვენ ვართ და ჩვენი კარტ-ნარდი,
მაგით ვათენებთ ღამესა.

შხანჭოლა

სტამბა შრომა, მუხრანის ქ. № 12.

გამომცემელი ილ. გრიგოლია.